აკადემიური საბჭო
დადგენილება № 6-43

16 10 2023წ.

გორი

სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადდეს არჩევნები, დაიწყოს კანდიდატთა რეგისტრაცია და დამტკიცდეს ,,სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ" განცხადება დანართი N1-ის შესაბამისად.

2. არჩევნების ტექნიკური უზრუნველყოფა დაევალოს სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

3. ,,სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ" განცხადების (დანართი N1) გამოქვეყნება (რექტორობის კანდიდატების რეგისტრაციის შეწყვეტამდე ვადით) დაევალოს:

ა) ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე) - უნივერსიტეტის კანცელარიას;

ბ) უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე - უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას.

4. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

დანართი N1

განცხადება

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ

1. გამოცხადდეს არჩევნები და დაიწყოს კანდიდატთა რეგისტრაცია სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად.

2. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი);

ბ) სამოქმედო გეგმისა და კონცეფციის წარმოდგენა.

3. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდეს 2023 წლის 16 ოქტომბერს.

4. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2023 წლის 20 ნოემბრის 9 საათიდან, მისამართზე: ქ. გორი, ი. ჭავჭავაძის ქ. N53; ოთახი N115.

5. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს 2023 წლის 28 ნოემბრის 18 საათი.

6. აკადემიური საბჭოს მიერ შემოსული განცხადებების განხილვისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული კანდიდატურის არჩევის დღედ განისაზღვროს 2023 წლის 07 დეკემბერი.

7. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) უმაღლესი განათლების (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის) დამადასტურებელი მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ბ) უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმა და კონცეფცია;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) ავტობიოგრაფია (CV);

ე) 2 ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3/4-ზე;

ვ) ცნობა სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ;

ზ) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.